საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიხაელი (მიხელაშვილი) ეფრაიმ იაკობის ძე

ე. მიხელაშვილი

მიხაელი (მიხელაშვილი) ეფრაიმ იაკობის ძე (დ. 21. VI. 1955. სოფ. კულაში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი), პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ექსპერტი და მიმომხილველი, ისრაელის არმიის რეზერვისტების პოლკოვნიკი. 1971 ჩაირიცხა სპი-ში. 1972-იდან ცხოვრობს ისრაელში. 1976 გაიწვიეს სამწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1981 მიიღო ოფიცრის წოდება. 1982 მონაწილეობა მიიღო ისრაელ-ლიბანის ომში. 1983 ჯარიდან სასწავლებლად გაგზავნეს ხაიფის ტექნოლ. ინ-ტში, სადაც დაამთავრა კომპიუტერული ინჟინერიისა და ენერგეტიკის ფაკ-ტი. 1986 დაინიშნა სახმელეთო ჯარების კავშირგაბმულობისა და კონტროლის ტექნოლ. განყ-ბის უფროსად (1988-იდან – მაიორი), 1990 კი – კავშირგაბმულობისა და კონტროლის მწარმოებელი ბაზის შტაბის უფროსად. 1993 მიიღო ვიცე-პოლკოვნიკის წოდება (1999-იდან – პოლკოვნიკი). იყო ისრაელის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი და სამხედრო ატაშე რუსეთის ფედერაციაში. 2011–14 ხელმძღვანელობდა ისრაელის პორტების სისტემის პირველ დირექტორატს. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ქმედითი მონაწილეობა მიიღო ისრაელის ორი ახალი პორტის – ხაიფას და აშდოდის მშენებლობაში. 2015–17 იყო ისრაელის ნავთობისა და გაზის კომიტეტის, ხოლო 2017–21 – „მეტეორ გრუპის“ (მოწინავე იარაღის კომპანია) დირექტორთა საბჭოს წევრი. 2003-იდან მოღვაწეობს პოლიტ. და სამხ. ექსპერტის რანგში.